სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ნას/16 /11/14

ქ. თბილისი 20 ნოემბერი, 2014 წელი

ერთის მხრივ, შპს "საქაერონავიგაცია" (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გოჩა მეზვრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "მბს" (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ანა ნებულიშვილის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სერვერის HP DL380P GEN8 E5-3609 შესყიდვა. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა, საერთო და ერთეულის ფასები მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის (CPV)კოდი: 48820000.
1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე.
1.4. რესურსის მოთხოვნის განაცხადი: №415.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 20600 ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს (მათ შორის საქონლის ტრანსპორტირების ხარჯს) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ-ს).

მუხლი 3. მიწოდების წესი და ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა უზრუნველყოფს ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, მისამართზე ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს „საქაერონავიგაცია".
3.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების მომენტში.
3.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს: გიორგი ჟღენტი (ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნულ გამარტივებულ შესყიდვაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები).
3.4. ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს შემსყიდველისადმი მისი გადაცემის მომენტამდე, ხოლო გადაცემის შემდეგ აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
3.5. საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:
4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.1.2. საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ყველა დეფექტი, აღმოჩენილი საქონლის მიწოდების დროს.
4.1.3. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
4.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას:
4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.
4.2.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე.

მუხლი 5. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3. გადახდის ვადების დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

მუხლი 7. საქონლის ხარისხი, გარანტია

7.1. მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ ტექნიკურ მახასიათებლებს.
7.2. მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება მიმწოდებლის გარანტია, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 1 წლის ვადით. აღნიშნულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს/აღმოფხვრას ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზი, რაც არ არის გამოწვეული შემსყიდველის ბრალეულობით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება მოქმედად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ.
10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრამდე. გარდა ხელშეკრულების მე-7 მუხლისა, რომელიც ძალაში რჩება გარანტიის პერიოდით.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს "საქაერონავიგაცია"

ქ. თბილისი, აეროპორტი 0158,

ტელ: (+995 32) 744 227

საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051

სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი REPLGE22

ა/ა GE69BR0000000005467067

შპს „საქაერონავიგაციის"

გენერალური დირექტორი

გოჩა მეზვრიშვილი

შპს "მბს"

იურიდიული მისამართი – ქ. თბილისი,

ვირსალაძის №8 ტელ: 2997712; 2998696

საიდენტიფიკაციო კოდი: 203838277

სს „ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი: REPLGE22

ა/ა GE69BR0000010631821626

შპს "მბს"-ის

დირექტორი ანა ნებულიშვილი

დანართი #1
2014 წლის 20 ნოემბრის #ნას/16/11/14 ხელშეკრულებასთან

	სპეციფიკაცია	რაოდ.	ერთ. ფასი	სულ
470065-656	HP DL380p Gen8 1xE5-2609 (2.4GHz/4-core/10MB/80W); RAM 8GB (1x8GB DDR3RDIMM CAS-9 LV); Smart Array P420i/512MB (RAID 0/1/5/10/50); HDD 2x300GB 6G SAS 10K SFF; LAN 1Gb x 4port; DVD-RW; 1x460W Gold; Warranty 3/3/3	1	8100,0	8100,00
662252-B21	HP DL380p Gen8 Intel Xeon E5-2609 (2.40GHz/4-core/10MB/80W) Processor Kit	1		
503296-B21	HP 460W CS Gold Ht Plg Pwr Supply Kit	1		
684208-B21	HP Ethernet 1GBE 4P 331FLR FIO Adapter	1	1050	1050,00
652497-B21	HP Ethernet 1Gb 2-port 361T Adapter	1	1000	1000,00
LSI00188	LSI Logic 9200-8e 8-ports SAS Controller - SYNX2548275	1	1400	1400,00
	MOXA CP-104EL+CBL-M44M25x4-50 DB44 male to DB25 male x 4 (50 cm cable)	1	2100	2100,00
	Sangoma A144 PCI with V.35 Interface (A144V39)	1	6950	6950,00
სულ ლარი:				**20600.0**
მათ შორის დღგ		**18,00%**		**3142,37**

შპს „მბს"-ის დირექტორი
ანა ნებულიშვილი

_____

შპს „საქაერონავიგაციის"
გენერალური დირექტორი
გოჩა მეზვრიშვილი

_____